პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 160 (13852) | სამშაბათი, 11 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საავიაციო პარადი დომოდედოვოში.

სურათებზე (მარჯვნივ): სპორტსმენი მფრინავების გადავლა დომოდედოვოს აეროდრომის თავზე. თვითმფრინავები დაწყობილი არიან ციფრ „50"-ის ფორმით; ზემოდან ქვემოთ — მსოფლიოში ყველაზე დიდი თვითმფრინავი „ანტეი". მას შეუძლია 80 ტონა ტვირთი გადაიტანოს. სადესანტო ჯარების საბრძოლო ტექნიკის გავლა. ცაშია ზებგერითი ბომბდამშენი — რაკეტმზიდების სამეული.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის ფრთები

ავიაციის პარადი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს

საბჭოთის 50 წლისთავი ჩვენი საჰაერო ფლოტის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიაცაა. ლენინი ედგა სათავეში საბჭოთა ავიაციას, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში იცავდა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა რესპუბლიკას, ხოლო მშვიდობიან დღეებში ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის მატიანეში. დიდი სამამულო ომის დროს ჩვენმა მფრინავებმა გაანადგურეს 58 ათასი ფაშისტური თვითმფრინავი (ჰიტლერელთა მიერ აღმოსავლეთის ფრონტზე დაკარგული 66 ათასიდან), და ამით უდიდესი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში.

საავიაციო ტექნიკის ახალი გამარჯვებებით, კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობით აღინიშნა ომისშემდგომი წლები. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ საავიაციო სახელმწიფოდ.

ახლა, საერთაშორისო ვითარების გამწვავების პირობებში, ჩვენი ავიატორები მხედრულ შრომაში ახალი წარმატებებით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას გულმოდგინედ დაეუფლონ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, დაიცვან და ამრავლონ არმიისა და ფლოტის რევოლუციური საბრძოლო ტრადიციები, ფხიზლად და საიმედოდ დაიცვან ჩვენი სამშობლოს წმიდათა წმიდა საზღვრები.

საბჭოთა სახელმწიფო, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი", იცავდა და კვლავაც ყველაზე მაღალ დონეზე დაიცავს თავის თავდაცვისუნარიანობას. ჩვენი შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან ყველა სახეობის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით, მათ შორის რაკეტულ-ატომური იარაღითაც... საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების ძლიერება რეალურად უპირისპირდება იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

...კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჩვენი სამოქალაქო ფლოტის განვითარებასაც, რომელსაც მომავალ წელს 45 წელი შეუსრულდება. ახლა მთელ მსოფლიოში ცნობილია ტუ-114-ის, ილ-18-ის და სხვა ჩვენი საჰაერო ლაინერების მაღალი საფრენოსნო თვისებები. აეროფლოტის ტრასები ჩვენს ქვეყანას აკავშირებენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ბევრ სახელმწიფოსთან.

ჩვენში საბჭოთა ავიატორების მიღწევათა ტრადიციული დათვალიერება გახდა ავიაციის პარადები. ტუშინოს აეროდრომის ცისფერ ასპარეზზე მრავალჯერ უჩვენეს თავიანთი ოსტატობა მფრინავებმა, დემონსტრირებული იყო ჩვენი შესანიშნავი საავიაციო ტექნიკა. წელს ტუშინოს ვეტერანმა აეროდრომმა პარადების ესტაფეტა გადასცა მოსკოვის ყველაზე ახალგაზრდა აეროპორტს — დომოდედოვოს აეროპორტს. კვირას, 9 ივლისს, ალმებით, ფერად-ფერადი ტრანსპარანტებით მოიკაზმა დომოდედოვოსაკენ მიმავალი მაგისტრალები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი მოსკოვი დაიძრა იმ საავიაციო დღესასწაულის ადგილისაკენ, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის 50 წლისთავს.

ლამაზი და მოკაზმულია აეროპორტი და მისი მინის გამჭირვალე გალერეები.

ასეულ ათასობით მოსკოველმა შეავსო აეროპორტის უზარმაზარი მინდორი. მაყურებელთა შორის არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საზოგადო მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა კავშირისა და გვარეობათა ჯარების მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, კოსმონავტები, საავიაციო კონსტრუქტორები. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელთა ნამდვილი დღეობაა.

მოსკოვში დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის სამხედრო დელეგაციები. აქ არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოების სამხედრო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო ატაშეები, უცხოელი სტუმრები.

10 საათი სრულდება. დამსწრენი ტაშით ხვდებიან ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, რომლებიც ტრიბუნაზე ადიან. მათთან ერთად ტრიბუნაზეა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი.

— „ისმინეთ ყველამ!" „ისმინეთ ყველამ!" მეგაფონები იუწყებიან, რომ დაიწყო დღესასწაული. რადიოთი აეროდრომის ყოველ კუთხეში გაისმის წითელი მოედნის კურანტების რეკვა. ზუსტად 10 საათია. სწორედ ამ წუთს ზებგერითი ავიაგამანადგურებლების ხუთეული „მიკარა" დღესასწაულის ცენტრს და დაბლა ტრიბუნების თავზე გაავლო ხუთი წითელი კვალი და დატოვა ძრავების გუგუნი, რომელიც ერწყმის არტილერიის სალუტის ზალპებს.

პარადი გაიხსნა! ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. პირველი სიტყვა, რომელსაც ავიატორები დღეს, ოქტომბრის საიუბილეო წელს უძღვნიან სამშობლოსა და ხალხს, ეს არის მადლიერების სიტყვა იმ ადამიანისადმი, რომელიც წერია და მუდამ ეწერება ჩვენი გამარჯვებების პირველ ფურცელზე — სპორტულმა თვითმფრინავებმა იაკ-18-მა ცაში დაწერეს — „ლენინი". აეროდრომის სხვადასხვა კუთხეში კი ავარდა ფეიერვერკის ფერად-ფერადი ჭავლები.

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულ დღესასწაულის მთავარ საჰაერო მაგისტრალზე გამოჩნდა ვერტმფრინავების მწკრივი. მიწასთან დაბლა გაიქროლა ვერტმფრინავების ერთ-ერთმა ფლაგმანმა — მი-8-მ. მას მართავს სამოქალაქო ავიაციის პილოტი კ. მ. რიბლოვი. მანქანაზეა ტრანსპარანტი — „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!". შემდეგ ტრიბუნებს ჩაუქროლეს ვერტმფრინავებმა მი-1-მა, რომლებსაც მოჰქონდათ სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი და მოკავშირე რესპუბლიკების ალმები. ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილი ქალიშვილები, რომლებიც დგანან ვერტმფრინავებზე მიბმულ საკიდელებში, აფრიალებენ ტილოებს, ხელს უქნევენ მოსკოველებს, თითქოს სალამს უძღვნიან დედაქალაქს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისაგან.

ტრიბუნების თავზე გამოჩნდა თვითმფრინავების იაკ-18-ის ახალი ჯგუფი. მათ ჰაერში დაწერეს ციფრი „50", თითქოს იუწყებიან, რომ საბჭოთა ავიატორები იწყებენ თავიანთ პატაკს სამშობლოსადმი. გამოჩნდა ვერტმფრინავების ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს დიდი სამამულო ომის მონაწილე, ნიკოლოზ გასტელოს ეკიპაჟის ყოფილი ავიამექანიკოსი ვ. დობროვოლსკი. მას აბარია მანქანები, ისეთი ჭეშმარიტად ფასდაუდებელი „ტვირთებით", რომლებმაც ჩვენს ქვეყანას, როგორც კოსმონავტიკის სამშობლოს, მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი. მეთაურ ვერტმფრინავს მოაქვს კოსმოსური ერის „პირველი მერცხალი" — დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი. ტრიბუნებთან ჩაატარეს ლამაზი ხომალდი „ვოსტოკ-1". ...კოსმოსური კორტეჟი კი ჰაერში ნახევარ კილომეტრზე გაჭიმულა. მზეზე ბრწყინავს საბჭოთა ავტომატური სადგური, რომელმაც პირველად გადმოსცა ტელერეპორტაჟი მთვარიდან. ჰაერშია ჩვენი კოსმოსური რეკორდსმენი — თორმეტტონიანი სამეცნიერო ლაბორატორია „პროტონ-1".

...პარადის პირველი სტარტი აეროდრომიდან იწყება: ცაში ზებგერითი ავიაგამანადგურებელი გაიყვანა საბჭოთა კავშირის გმირმა პოლკოვნიკმა ვ. ლისახოვმა. წითელფრთიანი მანქანა სწრაფად შემობრუნდება და გვაოცებს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურების კასკადით, რაც შეუძლიათ, მხოლოდ სპორტულ „იაკებს". მარყუჟი 180 გრადუსი შემობრუნებით, ზევით აჟრა, „კასრი", გადმოტრიალება, კვლავ ზევით აჟრა... და აი უკვე თვითმფრინავი დედამიწიდან მცირე მანძილითაა დაშორებული და მიფრინავს „ზურგზე", შემდეგ ასრულებს შექცეულ მარყუჟს — პილოტაჟის ურთულეს ელემენტს. მამაცი და ამტანი უნდა იყოს მფრინავი, რომ ასე ზუსტად და უნაკლოდ შეასრულოს ეს რთული ფიგურები.

აეროდრომიდან აფრინდა ზებგერითი ავიაგამანადგურებლების ოთხეული, რომელიც მაიორ რ. ვოსკანიანს მიჰყავს. ზუსტი მწყობრით თვითმფრინავები ერთდროულად ადიან ჰაერში. ადვილი როდია უჩვენო უმაღლესი პილოტაჟის ხელოვნება ზებგერითი მანქანით, მაგრამ ეს ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, როცა მას ასეთი თვითმფრინავების მთელი ჯგუფი ასრულებს. აქ საჭიროა კოლოსალური გამოცდილება და ოსტატობა.

თითქოს უხილავი ძაფით გადაბმული ავიაგამანადგურებლები ეშვებიან აეროდრომზე ას მეტრამდე სიმაღლეზე და, გუგუნით აკეთებენ მარყუჟს, დედამიწასთან ახლოს ადვილად „ხაზავენ" რკალს და კვლავ იჭრებიან მაღლა.

ასაფრენად ემზადება ავიაგამანადგურებლების ახალი ჯგუფი. ჯგუფში უკვე შვიდი თვითმფრინავია. ჯგუფს მეთაურობს სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი პოლკოვნიკი ვ. მედვედევი. ავიაგამანადგურებლები წყდებიან ადგილს და სწრაფად ადიან მაღლა. რამდენიმე წამის შემდეგ ზებგერითი მანქანები ელვისებურად გადაუქროლებენ ტრიბუნებს, ასრულებენ რთულ ფიგურებს.

უმაღლესი პილოტაჟი ავიაგამანადგურებელი მფრინავისათვის თვითმიზანი როდია. თვითმფრინავის ოსტატურად დაუფლება საშუალებას იძლევა რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოს იგი ბრძოლაში... ავიაგამანადგურებლები გადატრიალდებიან ჰაერში და იყოფიან ორ ჯგუფად. ერთი ქმნის „რომბს", მეორე „სამეულს"...

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საიუბილეო ვახტაზე

დროშა — გამარჯვებულებს

გორი. („კომუნისტის" საკ. კორ.). ტყვიავის კულტურის სახლში შეიკრიბნენ სოფლის მშრომელები, მეზობელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები.

გარდამავალი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება გახსნა ტყვიავის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანმა შ. მეტრეველმა. სიტყვას ამბობს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. ბუქლულაშვილი. მან ილაპარაკა წარმატებებზე, რომლებიც ტყვიაველმა მშრომელებმა მოიპოვეს გასულ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. ჩიხლაძეს გადასცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ტყვიაველ მშრომელებს მაღალი ჯილდო მიულოცა საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბზიშვილმა.

ადიგენი. („კომუნისტის" საკ. კორ.). მოხის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოვდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით. ამ დღეებში დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე მოვიდნენ მეურნეობის მოწინავე მწყემსები, მწველავები, მეღორეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მემინდვრეობის უბნებისა და ბრიგადების მოწინავენი, მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებათა მუშაკები.

საზეიმო შეკრება გახსნა საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა.

მეურნეობის მშრომელებისადმი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. თ. ყუნია. შემდეგ მან გარდამავალი დროშა გადასცა მეურნეობის დირექტორს ე. ლოლუაშვილს.

მეურნეობის მშრომელებმა ჯილდოს პასუხად ახალი ვალდებულებები იკისრეს.

მეაბრეშუმეთა სიტყვა და საქმე

დაწინაურდნენ გეგეჭკორელები

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ჩხოლარიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. სურმავამ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ჯელიამ რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 9 ივლისისათვის გადააჭარბებით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.180 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.175 ცენტნერისა.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

ხობელები გეპირდებიან გეგმის ზევით 10 ტონას

საქართველოს კპ ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. წურწუმიამ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბერაიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. კილასონიამ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა საიუბილეო წელს პირველი წარმატება მოიპოვეს. 10 ივლისისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 141,8 ტონა აბრეშუმის პარკი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 141 ტონისა.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში დაწინაურდნენ ახალხიბულის კიროვის სახელობის, ხამისკურის ჟდანოვის სახელობის, პირველი მაისის დიმიტროვის სახელობის, დაბა ხობის რუსთაველის სახელობის, შუა ხორგის ენგელსის სახელობისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ხობელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის ზევით სახელმწიფოს მიჰყიდონ 10 ტონა აბრეშუმის პარკი.

სამთოელთა საერთაშორისო ფორუმი

მოსკოვი, 10 ივლისი. (საქდესის კორ.). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა V საერთაშორისო სამთო კონგრესი. კონგრესი გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ბ. თ. ბრატჩენკომ. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობს 44 ქვეყნის ორი ათასამდე დელეგატი.

პირველ სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი. მან წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისალმება V საერთაშორისო სამთო კონგრესისადმი.

საოქტომბრო კითხვა

10 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქტო დარბაზში გაიმართა მორიგი მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საოქტომბრო კითხვის ციკლიდან.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივისა და თბილისის გარნიზონის მეომართა წინაშე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ინაური, რომელმაც წაიკითხა მოხსენება „ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხალხის რევოლუციური სიფხიზლის შესახებ". (საქდესი).

საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გ. ნადაშვილი გაათავისუფლა საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად და რაიკომის ბიუროს წევრად პლენუმმა ერთხმად აირჩია ა. ბექაური.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ქანუყვაძემ.

ძმური მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა ამხანაგებს ი. ცედენბალსა და ჟ. სამბუს გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 46 წლისთავს.

წერილში აღნიშნულია, რომ სხვა ძმურ სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თანამიმდევრული პრინციპული ბრძოლა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხელს უწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ინტერნაციონალური შეკავშირების განმტკიცებას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას.

46 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთად იბრძვიან სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის. წლითიწლობით ღრმავდება და სულ უფრო ნაყოფიერი ხდება ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. (საქდესი).

მეხუთე საერთაშორისო სამთო კონგრესს

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით მხურვალედ მოვესალმებით V საერთაშორისო სამთო კონგრესის მონაწილეებს.

სამთო კონგრესების მოწვევა ყველა კონტინენტის მეცნიერებსა და სამთო წარმოების სპეციალისტებს შორის საქმიანი კონტაქტების და მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განმტკიცების ერთ ერთი ფორმაა. სამთო მეცნიერებისა და ტექნიკის უველაზე აქტუალური პრობლემების ყოველმხრივ და ღრმად განხილვას კონგრესზე, სამთომომპოვებელ საწარმოთა მუშაობის მსოფლიო გამოცდილების განზოგადებას შეუძლია ხელი შეუწყოს შემდგომი ტექნიკური პროგრესის, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისა და მომუშავეთა შრომის შემსუბუქების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას.

საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა წელს აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების სახელოვან იუბილეს. ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი ქვეყნიდან ისტორიულად მოკლე ვადაში გადაიქცა მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოდ, რომელსაც მაღალგანვითარებული ეკონომიკა და კულტურა აქვს.

ახლა საბჭოთა ქვეყანას აქვს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი სოციალისტური მრეწველობა, რომელსაც შეუძლია გადაჭრას უველაზე რთული მეცნიერულ-ტექნიკური და სამეურნეო ამოცანები. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სამთომომპოვებელ მრეწველობას, როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ საფუძველს. ამჟამად ქვანახშირის, რკინის მადნისა და ბევრი სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მოცულობით სსრ კავშირს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ჩვენი ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერი მუშაკები, კონსტრუქტორები და მანქანათმშენებლები მაღაროელთა მრავალრიცხოვან არმიასთან ერთად მთელ ძალღონეს ახმარენ უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესების, სამთო მანქანების, ხელსაწყოების, აპარატების შექმნას, რათა შეუმსუბუქონ შრომა მეშახტეებს, უფრო ნაყოფიერი და უსაფრთხო გახადონ იგი. მეშახტეები ჩვენს ქვეყანაში დიდებითა და პატივით არიან გარემოსილნი. სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობს მათი სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა კავშირს ფართო მეცნიერულ-ტექნიკური და საგარეოსავაჭრო ურთიერთობა აქვს. ეს ურთიერთობა ყოველწლიურად ფართოვდება და უმჯობესდება.

ვუსურვებ მეხუთე საერთაშორისო სამთო კონგრესის მონაწილეებს ნაყოფიერ, წარმატებით მუშაობას და გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ეს კონგრესი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის, საქმიანი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შემდგომ განმტკიცებაში.

ა. კოსიგინი,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ 10 ივლისს მიიღო თბილისში მყოფი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბუდაპეშტის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე შარლოშ იშტვანი.

ვ. პ. მჟავანაძე გულითადად მიესალმა უნგრელ ამხანაგებს და მათი სახით მომმე უნგრელ ხალხს. მან აღნიშნა, რომ უნგრელ მშრომელთა წარმატებანი პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში გულწრფელად ახარებს ქართველ ხალხს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს.

დელეგაციის წევრთა თხოვნით ვ. პ. მჟავანაძემ მათ უამბო სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა გამარჯვებების შესახებ, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

ვ. პ. მჟავანაძემ შემდგომი წარმატებები უსურვა უნგრელ ამხანაგებს მუშაობაში უნგრელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, რომლებიც საერთო მწყობრში მიდიან ერთიანი დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

შარლოშ იშტვანმა მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ საფუძვლიანად გააცნეს წარსული და აწმყო საქართველოსი, რომელიც ღირსეულად ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, — განაცხადა უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა, — კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე განუხრელად ვითარდება და მტკიცდება მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა ხალხსა და უნგრელ ხალხს შორის.

ჩვენ სიამოვნებით ჩამოვედით საქართველოში. ნაწილი ჩვენი ამხანაგებისა უკვე იყო თქვენს შესანიშნავ რესპუბლიკაში. უნგრელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის მეგობრულ ურთიერთობას ღრმა ფესვები აქვს. უნგრეთში კარგად იცნობენ და აფასებენ ქართველი ხალხის ძველ და მდიდარ კულტურას, იცნობენ დიდ პოეტს შოთა რუსთაველს. საქართველოს მეოხებით გაიცნო უნგრელმა ხალხმა მიხაი ზიჩი. ჩვენი ძმური ურთიერთობა, — თქვა დასასრულ შარლოშ იშტვანმა, — კვლავ გაფართოვდება და განმტკიცდება ჩვენი საერთო საქმის — მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

საუბარმა გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საქდესი).

უნგრელი მეგობრები საქართველოში

გასულ კვირადღეს თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ მუშაკთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბუდაპეშტის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე შარლოშ იშტვანი.

უნგრელ მეგობრებს აეროდრომზე შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე მ. ა. გოგიჩაიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ი. კ. კიწურაშვილი.

უნგრეთის პარტიული მუშაკები ეცნობიან ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის მიღწევებს, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. (საქდესი).

ოქტომბრის ფრთები

(დასასრული)

ცის დამპყრობთა მეგობრულ ოჯახში არის ასეთი შესანიშნავი ტრადიცია: პილოტი, რომელსაც ბგერაზე სამჯერ მეტი სიჩქარით უფრენია, არასდროს ქედმაღლურად არ შეხედავს თავის კოლეგას, რომელიც ნელმავალი თვითმფრინავით სერავს ჰაერს. და ამიტომ იყო, რომ ტრიბუნები, რომლებზეც ბევრი სახელგანთქმული სამხედრო მფრინავი იჯდა, მეგობრული ტაშით შეხვდა „მცირე ავიაციის" პარადს! მხვნელ-მთესველები და მებაღეები, მემონტაჟეები და მაშველები, გეოლოგიური მზვერავები და უბრალოდ „ჰაერის მეეტლეები" — ასეთია არასრული ნუსხა პროფესიებისა, რომლებიც აითვისეს ჩვენმა სხვადასხვა ტიპის „ანებმა" და ვერტმფრენებმა.

დაბლა მიფრინავს კა-26 — უხუცესი საბჭოთა კონსტრუქტორის ნ. კამოვის ახალი უნივერსალური ვერტმფრენი. მას გადაჰყავს მგზავრები, შეუძლია იმუშაოს სოფლის მეურნეობაში, ემსახურება გეოლოგებს, მეტყევეებს, მეხანძრეებს, მიაქვს სხვადასხვა ტვირთი, მფრინავი ნ. ბეზდეტნოვი მაყურებლებს უჩვენებს მინდვრების მოფრქვევის ხერხებს...

ციმბირის შორეული სოფლების ბავშვებს, რომლებსაც ჯერ არც ერთხელ არ უნახავთ ელმავალი, შეუძლიათ ბევრი რამ გიამბოთ „მი"-ს ტიპის ვერტმფრენების შესახებ — ამ ვერტმფრენებს იცნობენ ირმების სამოვრებზე, ნავთობის სარეწებში, ტაიგის სამონადირეო მეურნეობებში, ბამბის პლანტაციებში. აი აეროდრომს გადაუფრინეს გენერალური კონსტრუქტორის მ. მილის ვერტმფრენებმა, რომლებმაც დატოვეს ფერადი შლეიფის კვალი. მი-2 პატარა მანქანებია, მაგრამ ისინი იტევენ ათ მგზავრს ან შეუძლიათ ერთი ტონა ტვირთის გადატანა. ამ მანქანებს ეკუთვნის ამ კლასის ვერტმფრენებს შორის სიჩქარის მსოფლიო რეკორდი.

გამოჩნდნენ ჩვენი სახელგანთქმული ვეტერანები „ანები". ო. ანტონოვის ეს თვითმფრინავები ოც წელზე მეტია ერთგულად ემსახურებიან სახალხო მეურნეობას. აქამდე მსოფლიოში ბადალი არა ჰყავთ მწარმოებლობაში, საექსპორტოდ იგზავნება ოც ქვეყანაში. ან-2 ჩვენში მთელი ავიაქიმიური მუშაობის 85 პროცენტს ასრულებს. 1967 წელს ისინი ვერტმფრენებთან ერთად ჰაერიდან დაამუშავებენ 70 მილიონზე მეტ ჰექტარ მიწას.

უზარმაზარ მილებსა და კოშკურებს, ჩარხებსა და სახლებსაც კი სწევს ამწე ვერტმფრენი მი-10. ახლა მან გადაუქროლა აეროდრომს და თან მიაქვს ოცადგილიანი ავტობუსი. ვერტმფრენავს მართავს ცნობილი მფრინავი გ. დრობიშევსკი. საჰაერო მონტაჟის ამ ბრწყინვალე ოსტატს ბევრი გონებამახვილური გადაწყვეტა ეკუთვნის, როცა თავის მი-10-ით შველოდა მშენებლებსა და მეტალურგებს, გეოლოგებსა და მბურღავებს.

მი-10-ს ცვლის მეორე გიგანტი ვერტმფრენავი — მი-6. მას საკიდრით მიაქვს უზარმაზარი ანძა. ეს ვერტმფრენავიც მსოფლიო რეკორდსმენია: მან აწია 25 ტონა ტვირთი. ორი რეაქტიული ძრავა მანქანას საშუალებას აძლევს საათში განავითაროს 300 კილომეტრზე მეტი სიჩქარე. ცის ჰერკულესი უწოდეს მას საფრანგეთში, სკანდინავიასა და იაპონიაში, სადაც ამას წინათ ასრულებდა ისეთ სამუშაოებს, რომლებიც სხვა მანქანებს არ შეეძლოთ. აერონავტიკისა და კოსმოსის საერთაშორისო სალონში, რომელიც ამასწინათ მოეწყო პარიზში, უჩვენეს მი-6-ის სამგზავრო ვარიანტი, რომელიც 80 კაცს დაიტევს!

რა არის ეს? ფერადი წვიმა წამოვიდა. აეროდრომს გადაუქროლეს ან-2 ტიპის თვითმფრინავებმა, რომლებმაც ჩამოყარეს ფერადი ვიმპელები. მათთან ერთად დედამიწისკენ წამოვიდა შავი წერტილები. ჰაერში იშლება სხვადასხვა ფერის პარაშუტები — ყველა მიხვდა: ეს პარადის დესანტია. 50 პარაშუტისტი ქალიშვილი, მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ასრულებენ ამ დესანტს, რომ მიესალმონ დღესასწაულს ავიაციის სპორტსმენთა მრავალათასიანი არმიის სახელით, საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით. აი ერთ-ერთ ტრიბუნაზე ჩვენ ვხედავთ ამ ქალიშვილებს. ისინი გამოწყობილი არიან ნარინჯისფერ, წითელ და ყვითელ კომბინეზონებში. ქალიშვილებს ხელში უჭირავთ თაიგულები, რომლებსაც მიართმევენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

— მე „თოლია" ვარ, მე „თოლია" ვარ, მესმის, გამოვდივარ...

იაკ-18 პ, რომელიც მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატზე საუკეთესო სპორტულ თვითმფრინავად ცნეს, ჯერ არ გამოჩენილა, პარადის საკომანდო პუნქტში კი უკვე გვესმის ამ მანქანის პილოტის (მისი სიგნალია „თოლია") — მსოფლიო რეკორდსმენის ნატალია პროხანოვას ხმა. აქ საკომანდო პუნქტში მის მაგივრად ღელავს ყველა — მეკავშირეები, რომლებსაც ბევრი უძილო ღამე გაუტარებიათ დღესასწაულისათვის მზადების ცხარე დღეებში, გაფრენის ხელმძღვანელებიც, შტურმანებიც.

— „თოლია!" მე ვარ — „ლილი", დაიწყე პირველი პოზიცია...

და ნატალია პროხანოვას, ჩვენი კოსმოსური „თოლიის" „დის" მანქანა მიჰყავს მკვდარი მარყუჟით, შემდეგ ასრულებს ნომერს, რომელიც მხოლოდ „ცის დედოფლებს" ძალუძთ. იგი ვერტიკალურად იჭრება მაღლა, შემდეგ კი, აქრობს მოტორს და ერთი წამით ჩამოეკიდება „ზარის" ფიგურის დარად, და ქვასავით ძირს ეშვება. და კვლავ ხუნთქვის შემკვრელი კასკადი აღმაჩადმა ასვლისა, მკვდარი მარყუჟებისა, კასრებისა, შტოპორებისა. როცა დიქტორი აცხადებს, რომ თვითმფრინავს მართავდა მსოფლიო რეკორდსმენი, რომელიც ზებგერითი რეაქტიული თვითმფრინავით 24 კილომეტრზე ავიდა, მაყურებლებმა გამოხატეს თავიანთი აღტაცება: ლაჟვარდოვანი ცისკენ აფრინდა ასობით ჰაერბურთი.

„საკომანდო პუნქტში" ცხელა. ფრენის პროგრამა გაანგარიშებულია წამობით. კავშირზე გამოდიან „ტორპედოები" და „ტალღები", „მეტეორები" და „ხოხბები", — მანქანები, რომლებიც სხვადასხვა აეროდრომიდან გამოფრინდნენ. თითოეული დანიშნულების ადგილზე უნდა მოვიდეს წამის სიზუსტით.

ცაშია ჩვენი რეაქტიული სამგზავრო ავიაციის „წინაპარი" ტუ-104. იგი მეთაურობს მანქანათა კოლონას, რომლებმაც გზა გაკვალეს მთელ მსოფლიოში: აქ არის ტუ-114, რომელიც ძირსდაუშვებლად მიფრინავს ტოკიოსა და ჰავანაში, დელისა და მონრეალში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩვენი ლაინერი ილ-18, რომელიც ემსახურება საშინაო და საგარეო ხაზების დიდ ნაწილს. მათ შემდეგ ტრიბუნებს გადაუფრინეს „ანტონოვთა" ოჯახმა, ტუ-124, ტუ-134 თვითმფრინავებმა. მაყურებლები დიდხანს მისჩერებიან რეაქტიულ თვითმფრინავს, რომელსაც სამგზავრო მანქანებისათვის უჩვეულო კონსტრუქცია აქვს. ეს არის იაკ-40, რომელიც გათვალისწინებულია 24 მგზავრისათვის. თვითმფრინავმა კურსს გადაუხვია, ცაში აიჭრა, შემდეგ კი ძირს დაეშვა სპორტული მანქანისათვის დამახასიათებელი სილამაზითა და სიმსუბუქით.

სამოქალაქო თვითმფრინავების ბოლოში მოდის სამი საკონტინენტთაშორისო ლაინერი ილ-62. ერთ-ერთი მათგანი მოყავს სსრ კავშირის დამსახურებულ პილოტს, სოციალისტური შრომის გმირს ბ. ანოპოვს, რომელმაც აეროფლოტში პირველმა აითვისა ეს მანქანები. ილ-62 მომსახურება ყველაზე შორეულ ჩვენს ავიახაზებს. მას შეუძლია ძირსდაუშვებლად გაიფრინოს ცხრა ათას კილომეტრზე მეტი. კონსტრუქტორ ნ. კუზნეცოვის ოთხი რეაქტიული ძრავა, რომლებიც განლაგებულია თვითმფრინავის ბოლო ნაწილში, თვითმფრინავისათვის უზრუნველყოფს საკრეისერო სიჩქარეს — 900 კილომეტრს საათში.

და, რაც ყველაზე საინტერესოა, არც ერთ სხვა მძიმე მანქანას (ილ-62 გადაჰყავს 186 კაცი) არა აქვს ასეთი მოკლე გარბენი დაჯდომის დროს. ბ. ანოპოვმა ეს ცხადყო მაყურებელთა თვალწინ. აი 160-ტონიანი მანქანის თვლები შეეხო ბეტონის ზოლს. მანქანა სწრაფად შეჩერდა, შემდეგ კი უკან დაიხია. ეს რევერსიული ძრავები მუშაობენ, რომლებიც რეაქტიულ ჭავლს საპირისპირო მხარისაკენ მიმართავენ.

აეროფლოტის პარადი დამთავრდა. ამას შემდეგ მოჰყვა „აკრობატული" ნომერი. იაკ-18 პ თვითმფრინავით გამოდის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი უმაღლეს პილოტაჟში ვ. მარტემიანოვი. მფრინავი ასრულებს „ზარს", ნესტეროვის მარყუჟს „კასრით"... ხოლო ასაფრენი ზოლიდან უკვე მოისმის გ. ბერიევის საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი სამხედრო-საზღვაო ძალების სამი ნავსაწინაამდეგო თვითმფრინავის ძრავების გუგუნი. მათ ფრთები ფიუზელაჟის ზემოთ აქვთ. მანქანას შეუძლია აფრინდეს როგორც ჩვეულებრივი გრუნტიანი აეროდრომებიდან, ასევე წყლის ზედაპირიდან. ჯგუფი მოჰყავს პოლკოვნიკ პ. ჟიდეცკის. ნაწილი, რომელშიც იგი მსახურობს, უძველესია ჩვენს ქვეყანაში. — იგი 1918 წელს შეიქმნა.

...ასეთ მოწმენდილ ცაზე, როგორიც დღეს არის დომოდედოვოს თავზე, რა თქმა უნდა, ოცნებობდნენ პარადის მონაწილენი. ცას რომ მივჩერებოდით, გაგვახსენდა ერთი ეპიზოდი, რომელიც რეპეტიციაზე მოხდა. სახელდახელო კრებაზე შეკრებილმა ბევრმა ავიასამსახურის წარმომადგენლებმა უკვე თავიანთი შენიშვნები გამოთქვეს ახლახან დამთავრებული ფრენების შესახებ. სიტყვა სთხოვეს „ამინდის შტაბის" წარმომადგენლებს. ერთ-ერთი წარმომადგენელი ადგა და თქვა: „დღეს ევროპის ცენტრში წარმოიშვა ანტიციკლონი. საღამოს (თითოეული მისი სიტყვა გულს ხვდებოდა) იგი მოაღწევს ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვრებამდე, დილით, 9 ივლისს, მოსკოვს მოუახლოვდება. მაშასადამე (ყველას სახე მოეღუშა) პარადის დროს იქნება... ჩინებული ამინდი".

მეტეოსამსახურმა შეასრულა თავისი „დაპირება"!

...მარჯვნივ ტყის თავზე გამოჩნდა სატრანსპორტო თვითმფრინავების დიდი კოლონა. და, როდესაც მიწაზე ჯგუფ-ჯგუფად დაეშვა ათასი კაცისაგან შემდგარი ფრთოსანი დესანტი, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ დომოდედოვოს ცაში დაიწყო დიდი საჰაერო ოპერაცია. ეს მართლაც ასე იყო. ნაირფერი გუმბათები ვეებერთელა ყაყაჩოებივით გაიშალა მინდორში. პარაშუტისტებმა დასაჯდომ ზოლს მიაშურეს, რომელზეც უკვე სხდებოდნენ დესანტის სხვა მონაწილენი. სულ რაღაც რამდენიმე წამში მი-4 ვერტმფრენავებიდან გადმოტვირთეს თვითმავალი ქვემეხები, და კიდევ რამდენიმე წუთი დაჭირდა ან-12 თვითმფრინავიდან თვითმავალი საარტილერიო დანადგარების გადმოტვირთვას. ოპერაცია „დესანტ-67" გრძელდება. ჰაერში, დაბლა, მიწასთან ახლოს, პატრულობენ ავიაგამანადგურებელთა წყვილები, რომლებიც დესანტის გადასხმას იცავენ.

მაყურებელთაგან ბევრს როდი უნახავს თავისი თვალით გიგანტური „ანტეოსი" — აქ კი აეროდრომზე ერთად დაეშვა სამი. აი გაიხსნა უზარმაზარი ლუკები და დესანტმა მიიღო მძლავრი მაშველი ძალები — ცხრა რაკეტული თვითმავალი დანადგარი!

სულ ნახევარ საათში დამთავრდა ამ დიდი დესანტის გადმოსხმის ოპერაცია. მისმა მარშმა ტრიბუნების გასწვრივ, რაც ათ წუთს გაგრძელდა, დაგვარწმუნა, რომ მედესანტეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ურთულესი საბრძოლო ამოცანები მოწინააღმდეგის ზურგში.

თვითმფრინავებმა და ვერტმფრენავებმა მოიტანეს მხოლოდ ნაწილი საბრძოლო ტექნიკისა, რომლითაც აღჭურვილია ჩვენი საჰაერო-სადესანტო ჯარები. მათ აქვთ უფრო მძლავრი ტექნიკაც თანამედროვე ბრძოლის პირობებში პასუხსაგები ოპერაციების შესასრულებლად. ეს არის თვითმოძრავი ზარბაზნები, საზენიტო ქვემეხები, ტანკსაწინააღმდეგო მართული ჭურვები. სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციას მოკლე ვადაში შეუძლია გადაიყვანოს ჯარები იარაღიანად ყოველგვარ მანძილზე, საომარი მოქმედების ყოველ რაიონში. თანამედროვე საპილოტაჟო მოწყობილობით აღჭურვილ თვითმფრინავებს შეუძლიათ მოქმედება დღისა და ღამის ყოველ დროს, ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში.

თითოეული ჩვენი საჰაერო პარადი საბჭოთა ტექნიკის ახალი საფეხურია, ეს არის ხალხის შემოქმედებითი აზრის აღმაფრენა. ჩვენ გვახსოვს 1955 წლის დღესასწაულის მთავარი სენსაცია, ეს იყო ტუ-104, 1961 წელს კი ტუშინოს აეროდრომს გადაუფრინეს უახლესმა საბრძოლო მანქანებმა, რომლებიც საუკეთესონი იყვნენ მსოფლიოში...

ამდენი და ესოდენ მრავალფეროვანი ზებგერითი, მაღლივი და ზუსტორი მანქანები არ გვინახავს არც ერთ საჰაერო პარადზე. ბევრი წამყვანი საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა საიუბილეო წელს მანქანებში გამოიყენეს ყოველივე საუკეთესო, რაც XX საუკუნის ტექნიკურმა აზრმა შექმნა. და იმის მიხედვით, თუ რაოდენ საზეიმოდ აცხადებს დიქტორი პარადის მორიგ ნომრებს, ვხვდებით, რომ ახლა ნაჩვენები იქნება რაღაც უმაგალითო, არნახული...

ასაფრენ ზოლზე პატარა ვერცხლისფერი მანქანაა. მინდორში გაისმის ძრავების მძლავრი გუგუნი. მაგრამ მანქანა წინ როდი მიდის, იგი თანაბრად და შეეულად ადის ზემოთ, და როცა 40-50 მეტრ სიმაღლეს მიაღწია, კურსს დაადგა. ჩვენ დავინახეთ ვერტიკალურად ასაფრენ-დასაჯდომი თვითმფრინავი! მის შტურვალთან საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი ვ. მუხინია. ასეთ თვითმფრინავს ყველგან შეუძლია აფრენა და დაჯდომა. აი იგი ეშვება. პილოტმა შეცვალა ძრავის დახრილობის კუთხე და რეაქტიული ჭავლი უკვე სცემს არა უკან, არამედ ქვემოთ დედამიწისაკენ. მანქანა, რომელიც ჯერ არ დაშვებულა, გაჩერდება ჰაერში, დაეკიდა, მობრუნდა მაყურებლისაკენ სხვადასხვა მხრივ. და თითქოს მოხერხებულ დასაჯდომ წერტილს ირჩევსო, დაეშვა დედამიწაზე.

სტარტზე სულ ახალ-ახალი მანქანები გამოდიან!. აი ზოლიდან აფრინდა ზებგერითი რეაქტიული შემცირებული გარბენის ავიაგამანადგურებელი. თვითმფრინავიდან ორი ცეცხლოვანი ენა გამოვარდა, რამაც დააჩქარა მისი აფრენა და საშუალება მისცა ორ-სამ წამში აჭრილიყო ცაში.

კიდევ ერთი აფრენა — კვლავ თითქმის ელვისებური სტარტი. ჰაერში აფრინდა ვერტიკალური აფრენის დამატებითძრავებიანი თვითმფრინავი. დიქტორმა დაასახელა პილოტები, რომლებმაც ახალი ტექნიკა აითვისეს. ესენი არიან სამხედრო მფრინავები ვ. კრიჟანოვსკი, ა. პოლტორანოვი, ე. სოლოვიოვი. ბ. ორლოვი, მ. კომაროვი, პ. ოსტაპენკო.

ცაში გაიყვანა ახალი მანქანა ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმულმა მფრინავმა საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ილიუშინმა. დაბლა და სწრაფად გადაუფრინა მაყურებლებს მისმა ზეჩქარულმა მრავალმიზნიანმა ავიაგამანადგურებელმა, რომელიც აღჭურვილია რაკეტებით და აქვს განსაკუთრებული საბრძოლო თვისებები.

ეს სიახლე კი ჯერ არ გვინახავს ჩვენს საავიაციო დღესასწაულებზე. სტარტზე ვხედავთ ჩვეულებრივ თვითმფრინავს, არც თუ ძალიან თანამედროვეს — ფართოდ გაშლილი ფრთებით. მაგრამ აი მოკლე გარბენა, თვითმფრინავი შემობრუნდა და მაყურებელთა თვალწინ ფრინველივით დაკეცა ფრთები, სიჩქარეს უმატა და მაღლა ცაში მიიმალა. გვიჩვენებენ ფრენის დროს ფრთების ცვალებადი დახრილობის ზებგერით თვითმფრინავს. მას მართავს პოლკოვნიკი ე. კუკუშევი. სტარტისა და დაჯდომის დროს თვითმფრინავისათვის უფრო მოსახერხებელია ფრთის ფართოდ გაშლა, დაკეცილი ფრთები კი ფრენის დროს დიდ სიჩქარეს ავითარებს.

ცაში გამოჩნდა ცვალებადი გეომეტრიის ფრთიანი ზებგერითი თვითმფრინავი და მაყურებლებმა ერთხელ კიდევ ნახეს შთამბეჭდავი სურათი — ჰაერში თვითმფრინავი „პილოტირებულ რაკეტას" დაემსგავსა. თვითმფრინავს მართავდა მსოფლიოს რეკორდსმენი საბჭოთა კავშირის გმირი ა. ფედოტოვი.

დიდ პატივს ვცემთ სიმაღლისა და სიჩქარის დამპყრობ მფრინავებს, რომლებიც ახალ გასაოცარ მანქანებს მართავენ. მაგრამ ისინი მხოლოდ უკანასკნელ წერტილს სვამენ ძნელ და ურთულეს მუშაობაში, რასაც საბჭოთა ავიამშენებლების კოლექტივები ეწევიან. ამიტომ დღეს დიდად ვაფასებთ დიდი კოლექტივების ტიტანურ შრომას, რომლებსაც მეთაურობენ თვალსაჩინო კონსტრუქტორები ა. ტუპოლევი, ა. მიქოიანი, ს. ილიუშინი, ე. მიასიშჩევი, ნ. კამოვი, ა. ლიულკა, პ. სუხოი, ა. იაკოვლევი, ო. ანტონოვი, გ. ბერიევი, მ. მილი, ს. ტუმანსკი.

უკვე ორ საათზე მეტია მაყურებელნი დაძაბულად შეჰყურებენ ცას. პარადს ამთავრებენ სულ სხვადასხვა დანიშნულების უახლესი საბრძოლო თვითმფრინავების კოლონები. მათ მეთაურობს შორი მოქმედების უზარმაზარი რაკეტამზიდი ექვსი ავიაგამანადგურებლის თანხლებით. ფლანგმანს მართავს ავიაციის გენერალ მაიორი ი. გორბუნოვი. მოფრინავენ დამჭერი ავიაგამანადგურებლები და ბომბდამშენი ავიაგამანადგურებლები — ომში სახელგანთქმული მოიერიშე ილების ძმები, მოფრინავენ თვითმფრინავები, რომლებსაც ძალუძთ მოსპონ მიზანი როგორც დედამიწაზე, ისე სტრატოსფეროს სიღრმეებში, მოფრინავენ გმირები, რომლებიც ჩვენ მშვიდობიან ცას იცავენ.

...და აი დამთავრდა პარადი. მაგრამ ყველას, ვინც იგი ნახა, მუდამ ეხსომება ჩვენი ავიაციის ძალის ეს დემონსტრაცია. საავიაციო მრეწველობის მუშაკებმა, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამოქალაქო ფლოტის მფრინავებმა თვალნათლივ გვიჩვენეს, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ქვეყანამ, რომელიც სამართლიანად ატარებს დიადი საავიაციო სახელმწიფოს წოდებას.

ნ. ჟელეზნოვი,
გ. ლუკიანოვი,
ვ. ნოვიკოვი,
(საქდესის კორესპონდენტები).
დომოდედოვო, 9 ივლისი.

თვითმფრინავების პარადი

საჰაერო ფლოტის დღესასწაულის წინა დღეს, 8 ივლისს, დომოდედოვოს აეროპორტში გაიხსნა საავიაციო გამოფენა. როგორც პარადზე ისე ჩამწკრივებულან ბეტონის ზოლის გასწვრივ თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავები, აეროფლოტის საჰაერო ხომალდები, ვერტმფრენავები. მათ გვერდით კი, თითქოს დიდ სამამულო ომში ჩვენი მფრინავების სახელოვანი გმირობის მოსაგონებლად, გარინდულან მოპიკირე ბომბდამშენები ტუ-2 და პე-2, მოიერიშე თვითმფრინავი ილ-10, ავიაგამანადგურებლები ი-16, იაკ-3 და მიგ-3, კარგად ცნობილი პო-2.

გამოფენას ხსნის თანამედროვე საბრძოლო რეაქტიული მანქანების კოლონა. ცოტას თუ ვინმეს უნახავს წინათ ავიაგამანადგურებელი მიგ-21. ასეთი მანქანებით დამყარდა ცხრა მსოფლიო რეკორდი, მათ შორის რეკორდები სიჩქარესა და სიმაღლეზე ფრენაში.

იქვე დგას ე-166 თვითმფრინავი, რომლითაც პირველად მიაღწიეს სიჩქარეს 3 ათას კილომეტრს საათში. ამ მანქანით რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დამყარეს ცნობილმა მფრინავებმა ა. ფედოტოვმა, გ. მოსოლოვმა და პ. ოსტაპენკომ.

უკან გადაუსვრია ისრის მსგავსი ფრთები ზებგერით მრავალსამიზნე ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენ სუ-7-ს, რომელსაც მძლავრი რაკეტული იარაღი აქვს.

გამოფენას ამთავრებენ სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავები. აქ წარმოდგენილია სულ სხვადასხვა ტიპის მანქანები დაწყებული პატარა „ფუტკრით" და დამთავრებული ან-22 გიგანტით („ანტეოსი"). ყველასათვის სიურპრიზი იყო კონსტრუქტორ გ. მ. ბერიევის ახალი სამგზავრო თვითმფრინავი ბე-30. მას გადაჰყავს 15 მგზავრი და ავითარებს სიჩქარეს საათში 480 კილომეტრს. ეს მანქანა გათვალისწინებულია ადგილობრივი ხაზების მომსახურებისათვის.

(საქდესის კორ.).

კოლოსალური წარმატებანი

გამოხმაურება მოსკოვში გამართული ავიაციის პარადის გამო

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს გამართულმა ავიაციის პარადმა, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიეძღვნა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარადის დამსწრე უცხოეთის წარმომადგენლებზე და კორესპონდენტებზე. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ახალი საავიაციო ტექნიკის ნიმუშებს.

ნიუ-იორკი. ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი წერს, რომ მასზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რეაქტიულმა ავიაგამანადგურებელმა, ცვალებადი ისრისებური ფრთით, რომელიც ზებგერითი სიჩქარით ფრენის დროს ისრის ფორმას იღებს, და რეაქტიულმა ავიაგამანადგურებელმა, რომელსაც ვერტმფრინავივით ვერტიკალურად შეუძლია აფრენა და დაფრენა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ თვითმფრინავებს, რომლებსაც ვერტიკალურად შეუძლია აფრენა და დაფრენა, დასავლეთში მხოლოდ ექსპერიმენტული წესით აშენებენ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საფრანგეთმა რამდენიმე დღის წინათ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ინგლისთან ერთად ცვალებადი გეომეტრიის მქონე ფრთიანი თვითმფრინავის შექმნის პროექტში.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარადზე აჩვენეს მსოფლიოში ყველაზე მსუბუქი ავიაგამანადგურებელი ცვალებადი ისრისებური ფრთით. ამ ტიპის თვითმფრინავმა, აღნიშნავს კორესპონდენტი, დაასწრო ამერიკის „ფ-111" ტიპის ავიაგამანადგურებელს ცვალებადი ისრისებური ფრთით, რომლის შექმნა იმიტომ დაბრკოლდა, რომ მისი წონა პირველ დაწყებიდან სპეციფიკაციებში აღნიშნულზე მეტი გამოდგა.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი წერს, სხვა საინტერესო ნომრები იყო სარაკეტო კომპლექსების გადმოტვირთვა „ან-22" ტიპის გიგანტური სატრანსპორტო თვითმფრინავიდან, აგრეთვე უზარმაზარი სატვირთო და სადესანტო ვერტმფრენავების ფრენა.

პარიზი. მოსკოვიდან მიღებულ ცნობაში პარიზის რადიომ მოსკოვში გამართულ საავიაციო პარადს „უდიდესი წარმატება" უწოდა.

იუპ-ის საინფორმაციო სააგენტომ აღნიშნა „მაღალი ოსტატობა, რომელიც პარადის დროს აჩვენეს საჰაერო-სადესანტო ჯარებმა".

თავის მხრივ, ფრანს პრესის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი ყურადღებას აპყრობს პარადზე ნაჩვენებ საავიაციო ტექნიკის სიახლეებს. „დასავლეთის სამხედრო სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, — წერს კორესპონდენციის ავტორი, — საქმე ეხება ტექნიკას, რომელიც მეტად მაღალ დონეზეა. ამ სპეციალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ასეთ დონეს მიაღწიეს მხოლოდ სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ფართო ქსელის მუშაობისა და ავიამშენებლობის ბრწყინვალე სამრეწველო ბაზის მეოხებით".

„ორიგინალურმა გადაწყვეტილებებმა, მთელი მოქმედების სერიოზულობამ, დახვეწილობამ და განსაკუთრებით საბჭოეთის უპირატესობამ მთელ რიგ დარგებში, — ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ სააგენტო, — განაცვიფრეს დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ატაშეები". (საქდესი).

ბელგრადი, 10 ივლისი. (საქდესი). „საჰაერო ტექნიკის ახალი საოცრება" ასეთი სათაური წაუმძღვარა უზარმაზარი ასოებით გაზეთმა „პოლიტიკამ", რომელიც იუწყება მოსკოვის დომოდედოვოს აეროდრომზე გამართული პარადის ამბებს. „ბორბა", „პოლიტიკა" სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღესასწაულის დღეს ვრცელ ანგარიშებს უძღვნიან. „ახალი საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავები", „პირველად უჩვენეს ახალი ტიპის თვითმფრინავების უმრავლესობა" — ასეთი სათაურები წაუმძღვარა ანგარიშს საბჭოთა კავშირში გამართული საავიაციო დღესასწაულის შესახებ გაზეთმა „ბორბამ".

გაზეთები აღნიშნავენ როგორც უდიდეს სენსაციას იმას, რომ საავიაციო დღესასწაულის დროს დომოდედოვოში უჩვენეს ცვალებადი ისრისებრი ფრთიანი თვითმფრინავები, რომლებიც ზებგერითი სიჩქარით დაფრინავენ, ვერტიკალური აფრენისა და დაჯდომის უნარის მქონე თვითმფრინავები, სტრატეგიული ბომბდამშენი, აგრეთვე უახლესი სახეობის იარაღით, მათ შორის რაკეტული კომპლექსებით აღჭურვილი თვითმფრინავები და საჰაერო დესანტის გადასხმა.

„ბორბა" წერს, რომ უჩვენეს თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ რაკეტებსავით აფრინდნენ კოსმოსამდე.

პორტ-საიდსა და ალექსანდრიაში საბჭოთა ხომალდების ვიზიტის შესახებ

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით 10 ივლისს პორტ-საიდსა და ალექსანდრიაში ვიზიტად ჩავლენ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ესკადრის ხომალდები. (საქდესი).

კომუნისტი

მე-2 გვერდი, სამშაბათი,
11 ივლისი, 1967 წ.

საერთაშორისო ცხოვრება

საზეიმო სხდომა ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 10 ივლისი. (საქდესი). დღეს აქ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 46-ე წლისთავს.

საზეიმო სხდომაზე მოხსენება წაიკითხა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჟაგვარალმა.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, აგრეთვე საბჭოთა სამხედრო დელეგაციის წევრები გენერალ-პოლკოვნიკ ი. ი. გუსაკოვსკის მეთაურობით, რომელიც სახალხო რევოლუციის იუბილეს ზეიმობაზე ჩამოვიდა.

პაკისტანის საზოგადოებრიობის მოთხოვნა

ყარაჩი, 10 ივლისი. (საქდესი). მოახდინონ ყველა პაკისტანში მოქმედი ამერიკული და ინგლისური ფირმის ნაციონალიზაცია, ბოიკოტი გამოუცხადონ მთელ ამერიკულ და ინგლისურ საქონელს — მოითხოვა ყარაჩში შექმნილმა „ინგლისურ-ამერიკული საქონლის ბოიკოტის" კომიტეტმა. პრესისათვის გადაცემულ განცხადებაში კომიტეტი ბრალს სდებს ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ წააქეზეს ისრაელი აგრესიისათვის არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, ეომებიან ვიეტნამელ ხალხს. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდა დედაქალაქის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების ბევრი წარმომადგენელი.

ერჰარდი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი. აქ ჩამოვიდა დასავლეთ გერმანიის ყოფილი კანცლერი ერჰარდი. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაჰყოფს 12 დღეს და ეწვევა ვაშინგტონს, სადაც შეხვდება პრეზიდენტ ჯონსონს. (საქდესი).

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 10 ივლისი. (საქდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ განაგრძო იმ საკითხის განხილვა, რომ ისრაელმა კვლავ უხეშად დაარღვია უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა წარსულ სხდომაზე საბჭოს აცნობა, რომ რვა ივლისს დილით ისრაელის ავიაციამ კვლავ დაბომბა მთელი რიგი საკონტროლო სადგურები სუეცის არხის ზონაში, ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა და ისრაელის ჰაერის მეკობრეებმა დაბომბეს მშვიდობიანი დასახლებული პუნქტები.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ ხაზი გაუსვა, რომ სანამ ისრაელის ჯარები არ გაეცლებიან მათ მიერ ოკუპირებულ არაბთა ტერიტორიებს, შეუძლებელია მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, რადგან ვერც ერთი ხალხი ვერ შეურიგდება იმას, რომ ინტერვენტები ბატონობდნენ და ბოროტმოქმედებებს სჩადიოდნენ მის ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა, თქვა საბჭოთა დელეგატმა, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ 1967 წლის 5 ივნისამდე, და აღმოფხვრათ ისრაელის აგრესიის შედეგები.

ისრაელის ახალი აგრესიული აქტები, თქვა ნ. ტ. ფედორენკომ, მოწმობენ, რომ ისრაელს მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და ზოგიერთი სხვა დასავლეთის სახელმწიფო, რომლებიც კისრულობენ მთელ მძიმე პასუხისმგებლობას მშვიდობის საქმისათვის საშიში შედეგებისათვის. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ისრაელის ვერაგული თავდასხმა არაბულ ქვეყნებზე, ამაწინანდელი პროვოკაციები კონგოს წინააღმდეგ, შემაშფოთებელი ცნობები კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული გეგმების შესახებ, — ეს არის ერთი ჯაჭვის რგოლები იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის შეთქმულებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ, და საჭიროა ყველა ახალგაზრდა დამოუკიდებელმა ქვეყანამ აქედან გამოიტანოს ჯეროვანი დასკვნები, რადგან აგრესიის წაყრუება და სიფხიზლის მოდუნება ყველაზე მეტად საშიშია უწინარეს ყოვლისა თვითონ მათთვის.

სსრ კავშირი, ხაზი გაუსვა ნ. ტ. ფედორენკომ, მტკიცედ და გადაჭრით უჭერს მხარს არაბულ სახელმწიფოებს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, ყოველმხრივ დახმარებას უწევს მათ, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც.

ნ. ტ. ფედორენკომ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეასრულოს თავისი მოვალეობა — ბოლო მოუღოს ისრაელის აგრესიას, უზრუნველყოს არაბულ სახელმწიფოთა კანონიერი უფლებები, აღადგინოს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები უშიშროების საბჭოში გამოვიდნენ როგორც აგრესორის ადვოკატები. **ლორდმა კარადონმა (ინგლისი)** მოუწოდა დელეგაციებს „არ გაადვილონ ვნებათა ღელვა", მსჯელობის მთავარ საგნად არ გადააქციონ ბრალდებები და „არ დაუჭირონ მხარი არც ერთ, არც მეორე მხარეს". ოკუპაციის პირობებში, როცა ისრაელი სისტემატურად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ეს მოწოდებანი სწორედ ერთი მხარის — აგრესორის მხარდაჭერაა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გოლდბერგმა კვლავ განაცხადა, რომ ისრაელის ჯარების გაყვანა უნდა იყოს „ნაწილი საერთო მოწესრიგებისა" და ამას თან უნდა ახლდეს „მტრობის შეწყვეტა". სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა საჭიროდ ცნო გაგრძელდეს ისრაელის ჯარების მიერ არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიების ოკუპაცია, სანამ ეს სახელმწიფოები არ დაეთანხმებიან „მოწესრიგების" პირობებს, რომლებსაც ისრაელი აყენებს და ამერიკის შეერთებული შტატები უჭერენ მხარს.

მალის წარმომადგენლის ლეო მუსაკეიტას გამოსვლა იყო საკადრისი პასუხი გოლდბერგისადმი. თუ ვილაპარაკებთ „მტრობის შეწყვეტაზე", — განაცხადა კეიტამ, ეს უნდა მოვთხოვოთ ისრაელ აგრესორებს, რომელთა ჯარებს დაკავებული აქვთ არაბთა ტერიტორიები, და არა არაბულ სახელმწიფოებს, რომლებიც ცდილობენ განდევნონ დამპყრობლები.

სიტყვა მიიღო **სირიის წარმომადგენელმა ადიბ დაუდიმ**. მან აღნიშნა, რომ ისრაელის აგრესიის მთავარვნის პოზიცია, რომელსაც აშკარად ადგანან ამერიკის შეერთებული შტატები, ხელფეხს უბორკავენ უშიშროების საბჭოს.

ისრაელის დელეგატმა რაფაელმა კვლავ გააკეთა თავხედური განცხადება, რომელიც შეიცავდა ცრუ ბრალდებებს არაბთა სახელმწიფოების მიმართ და ანტისაბჭოთა ინსინუაციებს. ამ განცხადებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ისრაელის განზრახვა განაგრძოს შეიარაღებული პროვოკაციები, აგრესიისა და ტერიტორიული ექსპანსიის პოლიტიკა.

ინდოეთის წარმომადგენელმა გ. პართასარატჰიმ განაცხადა, რომ ინდოეთის დელეგაციას არაფერი აქვს საწინააღმდეგო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ შემოთავაზებული ასეთი დროებითი ღონისძიებისა, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნა სუეცის არხის ზონაში. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის პრობლემა, ხაზი გაუსვა მან, უნდა გადაიჭრას რადიკალურად, სანამ საბჭო არ მიიღებს ქმედით გადაწყვეტილებას, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ 5 ივნისამდე, შეუძლებელია რეალური ნაბიჯი ამ რაიონში მშვიდობის დამყარების გზაზე.

სხდომის დასასრულს **საბჭოს თავმჯდომარემ მაკონენმა (ეთიოპია)** წაიკითხა განცხადება, რომელიც, როგორც მან თქვა, გამოხატავს საბჭოს საერთო აზრს. განცხადება შეიცავს თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანისადმი წინადადება მისცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის დაზავების სამეთვალყურეო შტაბის უფროსს შეიმუშაოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ისრაელის მთავრობებთან ერთად საჭირო ღონისძიებანი სუეცის არხის ზონაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო მეთვალყურეთა დასაყენებლად, რომლებიც დაექვემდებარებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის დაზავების სამეთვალყურეო შტაბის უფროსს.

„ვადი დლეილის" ბანაკი 44 კილომეტრზე იორდანიის დედაქალაქ ამანის ჩრდილოეთით დროებითი თავშესაფარი გახდა 6 ათასი ლტოლვილისათვის, რომლებმაც თავიანთი სახლები და ქონება მიატოვეს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, რომ თავი ეხსნათ ისრაელი აგრესორებისაგან. აქ 2.500-მდე ბავშვია, რომელთაგან ბევრს მიღებული აქვს დამწვრობა ნაპალმისაგან. ეს ბარბაროსული იარაღი ისრაელმა აგრესორებმა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ გამოიყენეს. სურათზე: „ვადი დლეილის" ბანაკში.

საქდესის ფოტოქრონიკა.

საქდესი უარყოფს

უკანასკნელ დღეებში დასავლეთის პრესაში გაჩნდა ცნობები, თითქოს ამას წინათ საბჭოთა კავშირსა და კვიპროსის რესპუბლიკას დაედოთ შეთანხმება კვიპროსისათვის საბჭოთა იარაღის მიყიდვის შესახებ.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობები ყოვლად უსაფუძვლოა, და როგორც ჩანს ამ მონაჭორით უნდოდათ შენიღბონ რაღაც საიდუმლო გეგმები აგრესიული გარეშე ძალებისა, რომლებიც მიმართულია კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

იორდანიის მეფე კაიროში ჩავიდა

კაირო, 10 ივლისი. (საქდესი). დღეს აქ ჩამოვიდა იორდანიის მეფე ჰუსეინი. იგი მონაწილეობას მიიღებს მოლაპარაკებაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერთან და კაიროში ჩამოსულ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარესთან ბუმედიენთან.

ახალი ფულადი სისტემა ახალ ზელანდიაში

კანბერა, 10 ივლისი. (საქდესი). დღეიდან ახალი ზელანდია გადავიდა ფულის ათობით სისტემაზე. გირვანქების, შილინგებისა და პენსების ნაცვლად მიმოქცევაში შემოღებულია დოლარები და ცენტები.

ტაიფუნი იაპონიაში

ტოკიო, 10 ივლისი. (საქდესი). 200-ზე მეტი დაღუპული, 140 უგზო-უკვლოდ დაკარგული, 430 დაშავებული, — ასეთია ტაიფუნის შედეგები, რომელიც გუშინ თავს დაატყდა იაპონიას კიუსიუს კუნძულებისა და ხონსიუს დასავლეთ ნაწილის რაიონებში. დაინგრა დაახლოებით 1.500 სახლი. წყალმა დატბორა 47 ათასზე მეტი ნაგებობა. წყალდიდობა ემუქრება კიდევ 188 ათას სახლს. იაპონიის ამ რაიონის რკინიგზის ხაზის ბევრ უბანში შეწყდა მიმოსვლა. კიუსიუსა და დასავლეთ ხონსიუს 16 პრეფექტურას დიდი ზარალი მოუვიდათ.

ყველაზე უფრო ტაიფუნმა დააზიანა კურესა და კობეს ნავსადგურები. მარტო კურეში თითქმის 150-ჯერ ჩამოწვა ზვავი. დაიღუპა 80, უგზოუკვლოდ დაიკარგა 50 და დაშავდა 90-მდე მცხოვრები.

დაქირავებულნი წარსდგებიან ტრიბუნალის წინაშე

ბრაზავილი, 8 ივლისი (საქდესი). კონგოს პრეზიდენტის კანცელარიის კომუნიკეში, რომელიც კინშასაში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ კისანგანიში, ბუკავუსა და კინდუში ბრძოლების დროს ტყვედ წამოყვანილი დაქირავებულნი სამხედრო ტრიბუნალს წარუდგებიან და პასუხს აგებენ თავიანთ დანაშაულობათათვის.

კონგოს არმიის სარდლობის გადაწყვეტილების შესაბამისად, კონგოს ტერიტორიაზე არ უნდა დარჩეს არც ერთი თეთრკანიანი დაქირავებული. როგორც კომუნიკეში ხაზგასმულია, კონგოს არმიას შეუძლია თავისი ძალებით უზრუნველყოს ყველა იმ პირთა ქონებისა და სიცოცხლის უშიშროება, რომლებიც კონგოში ცხოვრობენ. ამიტომ თეთრკანიან დაქირავებულთა ყოფნა კონგოს არმიის რიგებში საჭირო არ არის.

1965 წლის 24 ნოემბერს კონგოში იყო 1.800-ზე მეტი თეთრკანიანი დაქირავებული, რომლებიც მოიზ ჩომბემ მიიწვია, როცა ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო. ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ ჟოზეფ მობუტუმ მათ შორის მოახდინა წმენდა. 1967 წლის 1 იანვარს კონგოს არმიის რიგებში იყო 656 დაქირავებული, მეტწილად სამხრეთ-აფრიკელები და სამხრეთ-როდეზიელები, რომლებსაც წინადადება მიეცათ დატოვებინათ კონგო მიმდინარე წლის აპრილის განმავლობაში. კისანგანისა და ბუკავუს ამბების დაწყების წინ კონგოში იყო თეთრკანიან დაქირავებულთა მხოლოდ ერთი რაზმი ბობ დენარის სარდლობით, რაზმში შედიოდა 189 ჯარისკაცი. როგორც კომუნიკეში აღნიშნულია, ეს დაქირავებულნი გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ კისანგანსა და ბუკავუში. ბობ დენარი ამ ამბების დაწყების წინ მადრიდში ჩავიდა, სადაც შეხვდა საერთაშორისო ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენლებს.

კინშასის კონგოს მთავრობის ღონისძიებანი

ბრაზავილი. სამოქალაქო სასამართლოები კინშასის კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხედრო ტრიბუნალებით შეცვალეს. მათ გადაეცათ ყველა საქმე, რომელიც სახელმწიფოს საშინაო და საგარეო უშიშროებას ეხება. ეს ღონისძიებანი, როგორც კინშასის რადიო იუწყება, გამოწვეულია იმით, რომ კონგო იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდა. ინგლისის, ბელგიის, ესპანეთისა და საფრანგეთის საკონსულოებს აკრძალული აქვთ რადიოგადამცემებითა და რადიომიმღებებით სარგებლობა. მათ წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ ჩააბარონ რადიოაპარატურა ჟანდარმერიას. (საქდესი).

ეპოქის მხარდამხარ

კაპიტნის ბედი

მეგობრობა გმირობის, მამაცობის სიმბოლოდ იქცა. მიუხედავად იმისა, რომ მებადურთა ექვსნაბიჯიანმა ათასი ხიფათი სდევს, რაკი ჭაბუკი ერთხელ მაინც ჩაიცვამს ბრეზენტის ტანსაცმელს, დაიხუოავს ფართოფარფლიან ქუდს და გახდება მებადური, შემდეგ არასდროს არ უღალატებს თავის სპეციალობას.

გივი უკლება, სახელმწიფო თევზჭერის ბათუმის ბაზის სეინერის კაპიტან-ბრიგადირი, თავისი წარსულიდან ასეთ დეტალს იგონებს: სეინერი რემონტზე დადგა. რემონტი მეტახმეტად გაგრძელდა და გეგმის ჩავარდნას უქადდა. მეთევზეებმა გადაწყვიტეს ექვსნიჩბიანი დიდი ნავით გასულიყვნენ ზღვაში და ანკესები ჩაეყარათ. კურსი ჭოროხის დელტისაკენ აიღეს. ამინდის პროგნოზიში ცუდს არაფერს უქადდათ.

დანიშნულ ადგილს განთიადზე მიაღწიეს. ბადით წვრილი თევზი დაიჭირეს და ანკესების გაწყობას შეუდგნენ. ორი ათასამდე ანკესის მომზადებას საგრძნობი დრო დასჭირდა. ის იყო სამზადისს მორჩნენ, რომ ზღვამ და ზეცამ ერთბაშად შეიკრა შუბლი. ყუჟიისფერი ღრუბლები ჩამოწვა, ქარიშხალმა ისეთი ძალით დაუბერა, რომ ერთბაშად მთებისოდენა ტალღები აგორა.

— ესეც შენი ამინდის ბიურო, — გესლიანად ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— რა დროს ეს არის. უახლოეს ნაპირს მივაშუროთ. მთელი ძალით მოვუსვაოთ ნიჩბები, შეუძახა გივიმ.

ექვსი კაცი მედგრად ებრძოდა აზვირთებულ ტალღებს. ტალღები დიდ ნავს ნაფოტივით ათამაშებდა, ხან ზურგზე წამოისუბუქებდა, ხან უფსკრულში ჩაქანებდა.

ამ განსაცდელის ჟამს, თითქოს ბედმაც დასცინაო, ზედმეტი ძალდატანებისაგან ერთ-ერთი ნიჩბის კოჭი გადატყდა, ერთბაშად ნავი ჰაერში აღმოჩნდა, მოსასმელად მოკნეული ნიჩაბი ხელიდან გაუცურდათ და..... ორი წყვილი ნიჩბით გაუძღვნელდათ რამდენიმე ტონის ტევადობის ნავის დამორჩილება. ნაპირამდე 80-ოდე მეტრი თუ იქნებოდა დარჩენილი. მაგრამ ამ მოკლე მანძილის გადალახვა გაცოფებულ სტიქიასთან ბრძოლაში ადამიანებისაგან შეუძლებელს მოითხოვდა...

საბედისწერო ორთაბრძოლა არ წყდებოდა. არც ადამიანები თმობდნენ, არც სტიქია. აშას დაეპატაკოკისპირული წვიმა. ნავი წყლით ივსებოდა, ქარიშხალი მძვინვარებდა, ზღვა უფრო ხელდებოდა, ექვსი მებადურის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

გამოცდილებამ, ამბანობამ ყველაფერს სძლია. არაკეთგამოცლილმა ადამიანებმა ფეხქვეშ მყარი ნიადაგი რომ იგრძნეს, ახალი ძალა მიეცათ. უკანასკნელი ენერგია მოიკრიბეს და ნავი გრუნტზე გამოაცურეს. ირგვლივ მიმოიხედეს. იცოდნენ, რომ ჭოროხის განტოტებათა შუა მოქცეულ კუნძულზე იმყოფებოდნენ, გზა ,ყველა ზღვრიდან მოჭრილი ჰქონდათ. წყალდიდობა ახალ საფრთხეს უქმნიდათ.

იძულებული გახდნენ ნავი კუნძულის სიღრმეში გაეთრიათ, გადაებრუნებინათ და თავშესაფრად გამოეყენებინათ.

საჭმელი მხოლოდ ერთი დღის სამყოფი ჰქონდათ.

ღამე კოშმარული და მეტისმეტად გრძელი ეჩვენათ. იმუქრებოდა ზღვა, ბობოქრობდა ჭოროხი. არც ერთს თვალი არ მოუხუჭავს.

არც მეორე დღეს მოუტანია სიკეთე. ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ ზღვა და მდინარე კვლავ ბობოქრობდნენ.

— ო, რა დღეში იქნებიან ახლა სახლში?

— ალბათ გამოგვიტირეს!..

— ნუ გეშინიათ, მეგობრებო, — ანუგეშა გივიმ, — ადამიანი ხშირად იმედით არსებობს. ალბათ იმათაც აქვთ რაღაც იმედი. აი, ხომ ხედავთ, ცოცხლები ვართ, იდარდებენ, მაგრამ სამაგიეროდ რაოდენ გაიხარებენ, როცა გვნახავენ.

შიში მართლაც დიდი იყო. მთელმა ქალაქმა გაიგო, რომ მებადურთა ნავი ზღვამ გაიტაცა. ვიღაცამ ხმაც კი დაარხია, თურქეთის ზონაში გაირიყნენ, იმათმა რადიომ გადმოსცაო. მეორე დღეს ზღვისპირა ბულვარის პლიაჟზე გამორიყული ნიჩაბი რომ ნახეს წარწერით „გ. უ." — გივი უკლება (ასეთი წარწერა ადრევე გაუკეთა გივიმ ექვსავე ნიჩაბს), მაშინ ბაზაშიც კი გადაუწყდათ იმედი.

ბათუმისა და სარფის სანაპიროს გასწვრივ საბუქსირო გემი დაკარგულთ უშედეგოდ ეძებდა. ხმელეთის მხრიდანაც გაცხრილეს ნაპირი, მაგრამ ვერც ცოცხლები აღმოაჩინეს და ვერც მკვდრები. კუნძულზე გასვლას კი ვინ გაბედავდა. ძალმიცემულ ჭოროხს უზარმაზარი ხეები მოეთხარა და მოაცურებდა. რამდენი სახლი, საწყობი, საქონლის სადგომი დაენგრია მთაში. კარტები, ფიცრები, მორები — ყველაფერი გზამოჭრილი მეთევზეების თვალწინ ჩამოატარა.

მესამე ღამეს გადაიღო. ჭოროხის გადმიდან ავტომანქანების ფარების შუქმა კუნძულზე შემოაღწია, შუქს ომახიანი გამოძახილიც მოყვა, —„ე-ჰე-ჰე-ეე", ხმაზე იცნეს ბაზის მუშაკი ახმედ შარაბიძე, ხალისით აღივსნენ. ხმას ხმა მიაწვდინეს, მეგობრებს გააგებინეს, რომ ყველანი ცოცხალი იყვნენ.

მეოთხე დღეს ამინდი დაცხრა, დამშეულთ ზღვიდან შემოუტანეს საჭმელი, ზღვაში ნავის ჩაუთრევაზე დაეხმარნენ.

ხელცარიელი მაინც არ დაბრუნდნენ. ორი ათასამდე ანკესი ხელმეორედ გაიწყვეს და ზღვაში ჩაყარეს. შუადღემდე 8 ტონა თევზი დაიჭირეს. ანკესებზე შავი ზღვის ზვიგენები და სვიები წამოეგო.

...ნავსადგურში მთელი ქალაქი გამოეფინა. ნაცნობი თუ უცნობი ზეიმით შეხვდა ზღვაზე გამარჯვებული, მამაცი მეთევზეების დაბრუნებას.

— რამდენი ასეთი შემთხვევის მოგონება შეიძლება. ვისაც ზღვასთან და ქარიშხალთან აქვს საქმე, იმას ხიფათიც თან სდევს,— დაამთავრა თხრობა კაპიტანმა.

გივის ვთხოვეთ, თუ ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, აეხსნა, სხვაზე უკეთ როგორ აგნებდა თევზის გუნდებს, ამ მხრივ რა ალღო და ცოდნა აქვს, მისი ბადე რატომ არის უფრო ბარაქიანი, ვიდრე სხვებისა. როგორ მიაღწია იმას, რომ მისმა კომუნისტური შრომის ეკიპაჟმა უკვე შეასრულა 1968 წლის გეგმა და ახლა 1969 წლის ანგარიშში მუშაობს.

— მართლაც უფრო გრძელი და განიერი ბადე ხომ არა გაქვს-მეთქი, — გავეხუმრე ორდენოსან კაპიტანს.

საუბარში ბაზის დირექტორი შ. იოსელიანი ჩაერია.

— გივი არა მარტო კარგი მეთევზეა, არამედ კარგი ნოვატორიც. სანამ იგი თავის ახალ გამოგონებაში, ახალ მეთოდში ღრმად არ დარწმუნდება, მანამდე მართლაც საიდუმლოდ ინახავს, შემდეგ კი მთელ ფლოტილიაში ინერგება. მოვიყვანე ერთ მაგალითს. მართლაც ბევრი ფიქრობდა, რომ გივის ბრიგადის ბადე სტანდარტულზე უფრო განიერი იყო. მაგრამ ასე როდია. გივიმ თევზის ბუნება გაიგო და მის მოქმედებას საწინააღმდეგო მოქმედება დაუპირისპირა.

— სეინერზე ექოჩამწერი დგას, — თხრობა განაგრძო ბაზის დირექტორმა. — ეს რთული, მაგრამ ჭკვიანი ეკრანი დიდად ეხმარება მეთევზეს. იგი ანგარიშობს, თევზი რა სიღრმეზეა და რა რაოდენობით. ბადეში მოქცეული თევზი თუ ზევით არის, ცდილობს ბადეს ქვეითი გაექცეს, თუ ქვეითი არის, — პირიქით. თევზის ასეთი ბუნება გივიმ გამოიცნო და ბადეზაც ამის მიხედვით ხმარობს. ასე რომ წრეში მოქცეული თევზი ხელიდან ვეღარ უსხლტება. თევზის ამ ბუნებას იაპონელები ლოკატორების დახმარებით 1968 წელს ჩასწვდნენ. გივიმ უმექანიზმოდ 1955 წელს გამოიცნო ეს საიდუმლო და მისი წყალობით მთელ ბაზაში დაენერგეთ. გივი უკლებას ახლაც აქვს რამდენიმე ახალი „საიდუმლო", რომლებზეც ჯერ ექსპერიმენტებსა და დაკვირვებას აწარმოებს.

გივი უკლებამ და მისმა მსგავსმა ინიციატორებმა, აგრეთვე ბათუმის თევზჭერის სახელმწიფო ბაზის ერთსულოვანმა კოლექტივმა მთელი შავი ზღვის აუზში ჰპოვეს ალიარება.

მდიდარი რეწვა ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან მებადურებს.

მ. გოგრგილაძე.

„კომუნისტის" სპ. კორ.

• • •

სურათზე: გ. უკლება.



სიმღერის უკვდავება

სიღნაღში გაიხსნა ვანო სარაჯიშვილის ძეგლი

სიმღერა ხალხის გულის ფიქრია და ალბათ ისეთივე უმეცესი, როგორც თვით ადამიანთა მოდგმა. თუ გულში უნაპირო სიხარულია, მაშინ სიმღერად განცხადებული მისი ფიქრიც ლაღია და ფრთა-ასხმული, ხოლო ავბედობის მძიმე წუხილითაც გათანგული ადამიანის გული ღრმად შემმღერელი და შემაძრწუნებელი სევდიანი ჰანგით ამბობს თავის სათქმელს.

მაგრამ ყოველ ჟამს ადამიანი სიმღერას მოუხმობდა როგორც შთაგაგონებელს, მვეგბის მომგვრელს, გამამხნევებელს, მკურნალს. შრომობდა თუ იბრძოდა, მხიარულობდა თუ წუხდა, მაინც მღეროდა და ქმნიდა ლეგენდებს თავიანი გულის ფიქრის — სიმღერის უკვდავებაზე. არავინ იცის, ნამდვილად ვინ იყო ხმატკბილი ორფეოსი, მართლა ღმერთების შვილი იყო თუ მოკვდავთა შთამომავალი. არავინ იცის, მართლა მოუსმენია თუ არა ვინმეს მისი ჰანგები, მაგრამ საუკუნეთა სიმრავლემ ხალხის ხსოვნაში ვერ წაშალა თრაკიელი ჯადოსანი მუსიკოსის ამბავი თუ ლეგენდა...

მითიური ღმერთების ოჯახში არ შობილა ვანო სარაჯიშვილი. იგი პატრე მიხეილის-ძე სარაჯიშვილის მეთერთმეტე შვილი იყო. ვანოს დაბადების თარიღიც კარგად ვიცით, ადგილიც, მშობლებიც, ნაცნობ-მეგობრებიც, გარდაცვალების წელიც. მაგრამ ხალხსა მისი ულამაზესი ცხოვრების ამბავი უმშვენიერეს ლეგენდად აქცია და უკვდავების შარავანდედით შემოსა. დიდ ელობა, — თქვა ჩეხოსლოვაკიის კომპოზიტორთა კავშირის პირველმა მდივანმა **ვ. ნო

პირჩია, სად გსურს ისწავლო!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1967-1968 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით

1. დასწრებული ასპირანტურა

ა. **რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი:** ფუნქციათა თეორია — 1, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები — 1, დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია — 1. **ვამოვლითი ცენტრი:** გამოთვლითი მათემატიკა — 2. **ფიზიკის ინსტიტუტი:** თეორიული ფიზიკა — 1, მყარი სხეულის ფიზიკა — 2, დაბალი ტემპერატურის ფიზიკა — 1, ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა — 1. **აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია:** ასტროფიზიკა — 1. **გეოლოგიური ინსტიტუტი:** პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია — 1. **გეოფიზიკის ინსტიტუტი:** გეოფიზიკა — 3. **ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი:** ხმელეთის ჰიდროლოგია — 1. **კიბერნეტიკის ინსტიტუტი:** თეორიული კიბერნეტიკა — 1, ფიზიკური ელექტრონიკა (კვანტური) — 2. **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა — 1. **სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:** მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა — 2, დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია — 2. **გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი:** მყარი სხეულის ფიზიკა — 1. **ქვანახშირის, მადნებისა და არამადნეულ წიაღისეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება და ექსპლოატაცია** — 1, **საპახტო მშენებლობა** — 1, **ნავთობისა და გაზის საძებნელი მანქანები და მოწყობილობა** — 1, **სასარგებლო წიაღეულთა გამდიდრება** — 1. **მანქანებისა და პოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტი:** მანქანათმცოდნეობა და მანქანების ნაწილები — 1 **მანქანების, მოწყობილობისა და აპარატურის დინამიკა და გამძლეობა** — 1. **პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი:** ფიზიკური ქიმია — 2, ორგანული ქიმია — 1. **ნავთობის ქიმია და ნავთობი ქიმიური სინთეზი** — 1, **კოლოიდური ქიმია** — 1. **არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი:** არაორგანული ქიმია — 1. **არაორგანულ ნივთიერთა ტექნოლოგია** — 1, **ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია**—1, **ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი:** ანალიზური ქიმია — 1, **ფარმაცევტული ქიმია** — 1, **წამლების ფორმისა და გალენპრეპარატების ტექნოლოგია** — 1. **მეტალურგიის ინსტიტუტი:** ლითონთმცოდნეობა და ლითონების თერმული დამუშავება — 1, **შავი ლითონების მეტალურგია** — 1, **ნახევარგამტარებისა და ელექტროკაუჩუკური მასალების ტექნოლოგია** — 1, **ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების მეტალურგია** — 1, **მაღალი სისუფთავის ლითონებისა და პრეციზიული შენადნობების მეტალურგია** — 1. **ბოტანიკის ინსტიტუტი:** ბოტანიკა — 1, **მიკრობიოლოგია** — 1, **მცენარეთა ფიზიოლოგია** — 1, **გენეტიკა** — 1, **ციტოლოგია** — 1. **ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:** ბიოქიმია — 1, **ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია** — 3. **ზოოლოგიის ინსტიტუტი:** ზოოლოგია — 1 **იხტიოლოგია** — 1. **მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორია:** ბიოქიმია — 1. **ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი:** ჰისტოლოგია — 1. **პალეობიოლოგიის ინსტიტუტი:** პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია — 1. **ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი:** საქართველოს ისტორია — 1, **მსოფლიო ისტორია** (სოციოლოგია) — 1, **ეთნოგრაფია** — 1. **ენათმეცნიერების ინსტიტუტი:** კავკასიური ენები — 1. **კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი:** ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა — 1. **შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი:** ქართული ლიტერატურა — 1. **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:** პოლიტიკური ეკონომია — 1. **სტატისტიკა** (სოციოლოგია) — 1, **სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა** — 2, **სახელმწიფო ადმინისტრაცია და სამართალი** — 1. **ფილოსოფიის ინსტიტუტი:** დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი — 1, **მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა** (სოციოლოგია) — 1. **დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:** ფსიქოლოგია — 2. **ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი:** სახვითი ხელოვნება 1. **აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი:** ფოლკლორი — 1.

2. დაუსწრებელი განაყოფილება

გამოთვლითი ცენტრი: გამოთვლითი მათემატიკა — 1, **გამოთვლითი ტექნიკა** — 1. **გეოლოგიური ინსტიტუტი:** პალეობოლოგია და სტრატიგრაფია — 1. **გეოფიზიკის ინსტიტუტი:** გეოფიზიკა — 2. **ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი:** ფიზიკური გეოგრაფია — 1. **კიბერნეტიკის ინსტიტუტი:** თეორიული კიბერნეტიკა — 2, **ფიზიკური ელექტრონიკა** (კვანტური) — 1. **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ტექნიკური კიბერნეტიკა — 1, **ელექტრონული ტექნიკა** და **ხელსაწყოები** — 1. **სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:** დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია — 1, **სამშენებლო კონსტრუქციები**—1, **სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაკეთობანი** — 1, **ნაგებობათა თეორია** და **გამოცდა** — 1. **გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა** და **აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი:** საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია — 1, **ნახშირის, მადნებისა და არამადნეულ წიაღისეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება** და **ექსპლოატაცია** — 3, **მყარი ტანის ფიზიკა** — 1. **მანქანებისა და პოლიმერულ მასალათა მექანიკის ინსტიტუტი:** მანქანების, მოწყობილობის და აპარატურის დინამიკა და გამძლეობა — 2, **თბური ძრავები** — 1. **პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი:** ორგანული ქიმია — 1, **მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია** — 1. **არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი:** რადიაციული ქიმია — 1. **ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი:** ფარმაცევტული ქიმია — 1. **მეტალურგიის ინსტიტუტი:** ლითონების წნეული დამუშავება—1, **შავი ლითონების მეტალურგია**—1, **მაღალი სისუფთავის ლითონებისა და პრეციზიული შენადნობების მეტალურგია** — 1. **სოხუმის ბოტანიკური ბაღი:** მცენარეთა ფიზიოლოგია — 1. **ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი:** არქეოლოგია — 1, **ეთნოგრაფია** — 1. **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:** პოლიტიკური ეკონომია — 1, **ეკონომიკური ეკონომეტრია** — 1, **ეკონომიკური კვლევის მათემატიკური მეთოდები** — 1, **სამოქალაქო სამართალი** და **სამოქალაქო პროცესი** — 1. **ფილოსოფიის ინსტიტუტი:** მარქსისტულ-ლენინური ეთიკა — 1. **ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი:** ჩინური ენები — 1. **დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:** ფსიქოლოგია — 1.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

ი.ი. ... ...